**ტერფსიქორე** - ცეკვის მუზა, ძველი ბერძნული მითოლოგიის უმშვენიერესი სახე. ხელოვნების მფარველთა ზევსის ცხრა ქალიშვილს შორის ერთ-ერთთაგანია,რომელიც „ცეკვით ტკბობას“ ქადაგებს. ქნარით ხელში ტერფსიქორე დიონისეს დღესასწაულების მონაწილეა



სტუდენტური ქორეოგრაფიული ფესტივალი „ტერფსიქორე“ ტარდება 29 აპრილს ცეკვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. ეს პროფესიული დღესასწაული 1982 წლიდან UNESCO-ს მიერ არის დაწესებული.

ფესტივალის ინიციატორია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა და ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები. პირველი ფესტივალი, 2013 წელს ჩატარდა და იგი თბილისის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქორეოგრაფიულ კოლექტივებს მასპინძლობდა.

ფესტივალის პროგრამა მრავალ საინტერესო სეგმენტს მოიცავს, რომელიც დარგის ავტორიტეტის ამაღლებასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

## კონცერტის მონაწილეები:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტები და უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი **„როკვა“**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური ცეკვის ანსამბლი **„უნივერსიტეტი“**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი **„სეუ“**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი **„ვეგა“**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი **„ალმამატერი“**

## ფესტივალის ფარგლებში ტარდება:

### გამოფენა:

- წინა წლის „ტერფსიქორე 2013“-ის ფოტოსურათები;
- ანსამბლ „როკვას“ საგამოფენო პავილიონი;
- სოფო კიკვიძის საცეკვაო კოსტიუმების ესკიზები;

### სამეცნიერო კონფერენცია:



ქორეოლოგიური მიმართულებით წარმოდგენილი იქნება ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პედაგოგების კვლევითი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომები. ასევე მოხდება „ტერფსიქორე 2013“ - ის სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულის პრეზენტაცია.

### „ქორეომოპი“

ფესტივალი მასპინძლობს „ქართული ნაციონალური ბალეტის“ სოლისტებს: ეთერ (პეპა) გამსახურდიას, ჯიმი მამალაშვილს და დავით კალანდაძეს.



